კრების განცხადება

სააქციო საზოგადოება „ქუთაისის ცენტრალური ავტოვაგზალის“ სამეთვალყურეო საბჭო იწვევს სააქციო საზოგადოების აქციონერთა მორიგ საერთო კრებას, რომელიც გაიმართება 2018 წლის 3 სექტემბერს დღის 15 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის №67.
ს/ს „ქუთაისის ცენტრალური ავტოვაგზალის“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სააღრიცხვო დღედ დადგენილია 2018 წლის 6 აგვისტო.

დღის წესრიგი:

1. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში. მომხს. კ. თორაძე

2. 2017 წლის ფინანსური ანგარიში. მომხს. დირექტორი დ. რუსაძე

3. წლიური მოგების განაწილების შესახებ; მომხს. კ. თორაძე

4. სამეთვალყურეო საბჭოს გამოკლებული წევრების ხელახალი არჩევნები.

5. სხვადასხვა.

დღის წესრიგის საკითხების გამო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ ს/ს „ქუთაისის ცენტრალური ავტოვაგზალის“ დირექტორატში, ხოლო განმარტებების მისაღებად მოთხოვნა წერილობით უნდა იქნეს დაყენებული დირექტორატის წინაშე, კრებამდე 10 დღით ადრე.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან:

– ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები, თუ ისინი რეგისტრირებული არიან საზოგადოების აქციონერთა რეესტრში 2018 წლის 6 აგვისტოს მდგომარეობით.

აქციონერები კრებაზე მონაწილეობის მიღების უფლებას შეამოწმებენ ს/ს „ქუთაისის ცენტრალური ავტოვაგზალის“ რეგისტრატორთან ს.ს. „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებულ რეგისტრატორთან“, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №74ა, ტელ.: 222-53-51, 225-15-60.

ს/ს ,ქუთაისის“ ცენტრალური ავტოვაგზალის დირექტორი დიმიტრი რუსაძე.